ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4180397

ნომერი: AR1630510

თარიღი : 13.09.2018

გაცემის თარიღი : 21.09.2018

გაცნობის თარიღი : 27.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6 , (ნაკვეთი N8/53);

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა შატბერაშვილი პ/ნ 01009020543
- ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას 2-ე კვ.კორპ.21, ბინ41

ორგანიზაცია:

- შპს ქლინ სტოპი კოდი: 405143232

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2768465
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.10.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 13 სექტენბრის N AR1630510 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1.წარმოსადგენია კეთილმოწყობის ანაზომი გამწვანების ფართობის დაფიქსირებით.

2. წარმოსადგენია ფოტომასალა (ე- ბლოკი) ა-ბ ბლოკებს შორის მოწყობილი სარეკლამო ბილბორდების და ,,1-4" და ,,ზ-ა" ფასადებზე მოწყობილი სარეკლამო ბანერების ასახვით.

3. წარმოსადგენია საექსპერტო შეფასება კორექტირებულ კონსტრუქციულ სქემაზე და არსებული განხორციელებული შენობის მდგრადობაზე.

4. ვინაიდან ფიქსირდება ც- ბლოკის ,,1-10" ფასადზე ,,7-8" მონაკვეთში ლითონის კოჭის ნაშვერი და ე- ბლოკის კოლონების არმატურის ნაშვერი, უნდა იქნას დასრულებული სამშენებლო სამუშაოები და აღნიშნული სამუშაოების დასრულების შესახებ შესაბამისად დადასტურდეს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ.

5. წარმოსადგენია ანაზომი შემდეგი ცვლილებების ასახვით- ა- ბლოკის ,,5-1" ფასადზე ,,1-1" ღერძზე და ე- ბლოკის ,,4-1" ფასადზე გაუქმებული მოაჯირები, ,,გ-ა" ფასადზე ,,ბ-ბ" ღერძთან გაუქმებული მოაჯირის ნაწილი, ,,1-5" ფასადზე ,,1-2" მონაკვეთში განთავსებული კონდენციონერი, დ - ბლოკის ,,ა-თ" ფასადზე მოწყობილი პანდუსები საწყისი და საბოლოო ნიშნულების და დახრის პროცენტულობის ჩვენებით.

6. წარმოსადგენია განმარტება გამწოვების ა და ც ბლოკების სახურავზე გაუქმების თაობაზე.

გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.